საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ივლისი, 2018

შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი 3
ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა 4
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში 5
ფასების დონე 6
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში 8
საგარეო ვაჭრობა 9
ტურიზმი 13
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 14
ფულადი გზავნილები 16
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 17
საკრედიტო რეიტინგები 19
საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "Moody's"-ის განცხადება 20
გაცვლითი კურსი 21
უმუშევრობის დონე 22
ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 23
სახელმწიფო ვალი 23
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი 24
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 28
2017 წლის ბიუჯეტის აღწერა 29
საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა 30

მთლიანი შიდა პროდუქტი

2014-2016 წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის შენელების შემდეგ, 2017 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო სწრაფი გამოცოცხლება. 2017 წლის IV კვარტალში რეალური ზრდა 5.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს 5.0 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.



ეკონომიკური აქტივობა კიდევ უფრო გაძლიერდა 2018 წელს. წინასწარი შეფასებით, პირველ კვარტალში ზრდამ 5.3 პროცენტი შეადგინა, აპრილში ეკონომიკური ზრდა 6.5 პროცენტი იყო, მაისში - 7.5 პროცენტი, ხოლო ივნისში - 4.0 პროცენტი. შედეგად, 2018 წლის II კვარტლის საშუალო ზრდამ 6.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო 6 თვის საშუალო ზრდამ - 5.7 პროცენტი.



2017 წლისთვის, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: ვაჭრობა (ზრდა 6.6, წვლილი მთლიან ზრდაში 0.9%); მშენებლობა (ზრდა 11.2, წვლილი მთლიან ზრდაში 0.7%); ტრანსპორტი (ზრდა 7.2, წვლილი მთლიან ზრდაში 0.5%); დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 5.0, წვლილი მთლიან ზრდაში 0.4%); საფინანსო საქმიანობა (ზრდა 9.2, წვლილი მთლიან ზრდაში 0.3%); სასტუმროები და რესტორნები (ზრდა 11.2, წვლილი მთლიან ზრდაში 0.3%);

ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა

2017 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 5.0 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება ძირითადად გამოწვეული იყო ექსპორტით. მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებამ და პარტნიორ ქვეყნებში არსებულმა დადებითმა ტენდენციებმა პოზიტიური ასახვა ჰპოვა ექსპორტზე, მოხმარებასა და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე.



2018 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი მარაგების ცვლილებამ და ინვესტიციებმა შეიტანა. თუმცა, ჩვენი მოლოდინით, საშუალოვადიან პერიოდში კვლავ წმინდა ექსპორტი იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი, ასევე მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება ვაჭრობით იყოს გამოწვეული. ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ინვესტიციები. ამასთან, განხორციელებული რეფორმები და მილსადენის პროექტი ორიენტირებულია ქვეყანაში დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდაზე.

ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

ბოლო წლებში, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შენელებისა, საქართველოს ეკონომიკური ზრდა პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალი იყო.

საქართველომ ასევე აჩვენა მნიშვნელოვანი მდგრადობა 2014-2016 წლებში რეგიონში არსებული ზრდის შენელების ფონზე. საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 3.4 პროცენტით გაიზარდა (4.6% 2014 წელს, 2.9% 2015 წელს და 2.8% 2016 წელს), მაშინ, როცა მეზობელ ქვეყნებში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. საგარეო შოკების მიმართ მაკროეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულმა რეაქციამ საქართველოს ეკონომიკა ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია 2016 წელსაც.

კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს ეკონომიკური აქტივობა 2017 წელს და 5.0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, რაც არსებული ეკონომიკური პოლიტიკისა და მიმდინარე რეფორმების შედეგია.



საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო შეინარჩუნებს მოწინავე პოზიციას რეგიონში საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის კუთხით.



ფასების დონე

საქართველოს ეროვნული ბანკი მისდევს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. 2018 წლისთვის, აქციზის გადასახადის ეფექტის ამოწურვის შემდეგ ინფლაციის დონემ დასტაბილურება დაიწყო. იანვარში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 4.3 პროცენტით გაიზარდა, თუმცა შემდეგ თვეებში ზრდის ტემპი უფრო ნაკლები იყო (თებერვალში - 2.7 პროცენტი, მარტში - 2.8 პროცენტი, აპრილში და მაისში - 2.5 პროცენტი, ივნისში - 2.2 პროცენტი), ივლისის თვეში კი ინფლაციის დონემ 2.8 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საბაზო ინფლაცია შესაბამის პერიოდში 1.4 პროცენტს შეადგენდა.





რაც შეეხება 2017 წელს, წლიური ინფლაცია 6.0 პროცენტს შეადგენდა, რაც მიზნობრივ 4 პროცენტიან მაჩვენებელზე მაღალია. თუმცა, მიზნობრივიდან აღნიშნული გადახრა გამომდინარეობს ერთჯერადი ფაქტორებიდან, რაც დაკავშირებულია 2017 წელს განხორციელებული ფისკალური რეფორმის შედეგად აქციზის გადასახადის ცვლილებით (თამბაქოზე, საწვავსა და ავტომობილებზე).

2017 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 6.7 პროცენტით გაიზარდა. საბაზო[1] ინფლაცია შესაბამის პერიოდში შეადგენდა 4.7 პროცენტს. მთელი წლის განმავლობაში საბაზო ინფლაცია მიზნობრივის გარშემო მერყეობდა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მაისში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე[2]:

- ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.9 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.93 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (12.3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-11.0 პროცენტი);
- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 2.3 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.67 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები

[1] არასასურსათო ინფლაცია, ენერგომატარებლების გარეშე
[2] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მომატებულია ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (4.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.2 პროცენტი), თევზეული (3.7 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (3.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (2.6 პროცენტი). ამასთან ფასები შემცირდა შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-2.9 პროცენტი);

- საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 5.2 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0.43 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7.7 პროცენტი), ასევე ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (6.0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;
- ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 5.0 პროცენტით, რაც 0.42 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (9.0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3.4 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2.4 პროცენტი);
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4.4 პროცენტით, რაც 0.31 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (8.2 პროცენტი);
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: მოცემულ პერიოდში ფასების კლება დაფიქსირდა 8.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0.32 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა როგორც ტანსაცმელზე (-8.5 პროცენტი), ისე ფეხსაცმელზე (-7.9 პროცენტი).

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

კერძო სექტორს ისტორიულად წარმმართველი როლი უჭირავს ეკონომიკურ ზრდაში და აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2017 წელსაც.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 18.6%-ით გაიზარდა. პროდუქციის გამოშვება 16.0%-ით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 5.3%-ით გაიზარდა, რაც 32,063 ახალ სამუშაო ადგილს ნიშნავს. სულ დასაქმებულთა რაოდენობამ 637,047 ადამიანი შეადგინა.



საგარეო ვაჭრობა

რეგიონში ეკონომიკის გაჯანსაღება კარგად აისახა საქართველოს ექსპორტზე და 2018 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტის ზრდამ 28.5 პროცენტი შეადგინა. ივნისის თვეში ექსპორტის ზრდის რეალური ეფექტი 18 პროცენტია. აღნიშნული ზრდა 2017 წლის იანვარში დაწყებული ტრენდის გაგრძელებაა, რაც გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების შედეგია.

2018 წლის იანვარში, ექსპორტი 25.9 პროცენტით ანუ 46 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო იმპორტის ზრდამ 20 პროცენტი შეადგინა, რაც 99 მლნ აშშ დოლარი იყო. შედეგად, სავაჭრო ბალანსი დაახლოებით 53 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. თებერვალში ექსპორტის ზრდამ 24.4 პროცენტი შეადგინა, იმპორტი კი 10.1 პროცენტით გაიზარდა და სავაჭრო ბალანსი 14 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა.

მარტის თვეში ექსპორტის ზრდამ 29.2% შეადგინა, ხოლო იმპორტი 36.2%-ით არის გაზრდილი, შედეგად, სავაჭრო ბალანსი დაახლოებით 159 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება აპრილის თვეს, ექსპორტი 8.3%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 24.1%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ზრდაში მარტში 4.0%-იანი წვლილი, ხოლო აპრილში - 1.2%-იანი წვლილი შეიტანა ნიდერლანდებიდან ტურბორეაქტიული ძრავებისა და აირის ტურბინების იმპორტმა. ამასთან, აპრილის თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩილედან სპილენძის მადნების, ხოლო ბელგიიდან - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. მხოლოდ ამ 3 პროდუქციის ზრდამ იმპორტის ზრდაში 4.3% შეადგინა. მაისში მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ექსპორტი და ზრდამ 50.2% შეადგინა, ხოლო იმპორტის ზრდა 26.0%-იან დონეზე დაფიქსირდა. შედეგად, სავაჭრო ბალანსი 59 მლნ აშშ დოლარით არის გაუარესებული.

რაც შეეხება ივნისს, ექსპორტის ზრდა 31.1 პროცენტზე დაფიქსირდა, სადაც რეალური ზრდა 18%-ს შეადგენს, ხოლო იმპორტი 19.8 პროცენტით არის გაზრდილი. შედეგად, სავაჭრო ბალანსი წინა წლის ივნისთან შედარებით 54 მილიონი აშშ დოლარით გაუარესდა.

2018 წლის ივნისში მნიშვნელოვანი ზრდა შემდეგი პროდუქტების ექსპორტში დაფიქსირდა: მსუბუქი ავტომობილები (წვლილი ზრდაში 9.5 პროცენტული პუნქტი), სპილენძის მადნები (წვლილი ზრდაში 6.0 პროცენტული პუნქტი), სიგარები (წვლილი ზრდაში 3.8 პროცენტული პუნქტი), სასუქები (წვლილი ზრდაში 2.9 პროცენტული პუნქტი), ფეროშენადნობები (წვლილი ზრდაში 1.8 პროცენტული პუნქტი).

ჯამურად, იანვარ-ივნისში ექსპორტი გაზრდილია 28.5%-ით, ხოლო იმპორტის ზრდამ 22.9% შეადგინა, საიდანაც 16.9 პროცენტი გამოწვეული იყო კაპიტალისა და შეალედური საქონლის იმპორტის ზრდით.



2014 წლის აგვისტოდან დაიწყო ექსპორტის კლება. შემობრუნების ტენდენცია შეინიშნება 2015 წლის მესამე კვარტლიდან, როდესაც ექსპორტის შემცირებაში ფასისმიერი ეფექტი დომინირებდა და რეალურ გამოხატულებაში ექსპორტმა კლება შეწყვიტა.

2015 წლის მეორე კვარტლიდან გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე დაიწყო იმპორტის კორექტირება და იმპორტის შემცირების ტენდენცია 2016 წლის მაისამდე გაგრძელდა. მაისიდან საინვესტიციო საქონლის იმპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რაც ძირითადად მანქანა-დანადგარების (მათ შორის: გენერატორების, სამედიცინო აპარატურის, გამომთვლელი მანქანების, სამრეწველო დანადგარების და ა.შ) იმპორტის ზრდით იყო

გამოწვეული, მთლიანი იმპორტის ზრდა განაპირობა. ასევე, პერიოდულად მაღალი იყო შუალედური საქონლის იმპორტის (მათ შორის მანქანა-დანადგარების ნაწილების და საწვავი და საცხები მასალების) ზრდა. 2017 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდამ, რაც ნავთობპროდუქტების იმპორტს უკავშირდება. ჯამურად, წლის განმავლობაში დადებითი წვლილი მხოლოდ საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემთხვევაში ფიქსირდება.

ჯამურად, იმპორტში 9.4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა 2017 წელს. მაღალი ზრდა დაფიქსირდა სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტში.





2017 წელს ექსპორტი 29.5 პროცენტით გაიზარდა, რაც ნომინალურად 622 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ამავე პერიოდში იმპორტის ზრდა 8.8 პროცენტი, ანუ 645 მლნ აშშ დოლარი იყო. შედეგად, სავაჭრო ბალანსი დაახლოებით 23 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.



ტურიზმი

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა.

ვიზიტორების რაოდენობის მზარდი ტენდენციით დაიწყო 2018 წელი. იანვარში საქართველოს 444,2 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14.8%-ით მეტია, თებერვალში ვიზიტორების რაოდენობამ 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.8 პროცენტით გადააჭარბა, მარტში - 13.2 პროცენტით, აპრილში - 16.9 პროცენტით, მაისში ვიზიტორების რაოდენობა 7.2 პროცენტით აღემატება წინა წლის მაისს, ხოლო ივნისში ვიზიტორების რაოდენობა 14.3 პროცენტით გაიზარდა და 762 ათასი კაცი შეადგინა.

ჯამურად, 2018 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში 3415 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 14.0 პროცენტით მეტია 2017 წლის იგივე პერიოდზე, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 1361 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 24.4 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 27.1 პროცენტით გაიზარდა, რაც 587.3 მლნ აშშ დოლარით მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებაა წინა წელთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე, ტურიზმის სექტორი დაახლოებით 9-ჯერ არის გაზრდილი. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა 2 მილიარდ აშშ დოლარს.

2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 18.8 პროცენტით აღემატება, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 753 მლნ აშშ დოლარი შედგინა და წინა წელთან შედარებით 27.1 პროცენტით გაიზარდა.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება და სტაბილურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტის გარშემოა. 2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 279 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს 1 603 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით, 1 862 მლნ. აშშ დოლარი და 2016 წელთან შედარებით 16.2 პროცენტით გაიზარდა. მთლიან შიდა პროდუქტთან კი 12.3 პროცენტი შეადგინა.

2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 7.6 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობით ინვესტიციები განხორციელდა საფინანსო სექტორში - 39.6%, მშენებლობაში - 24.7% და დამამუშავებელ მრეწველობაში - 14.4%.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი 2017 წლის განმავლობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 28.3 პროცენტი შეადგინა, საფინანსო სექტორში - 16.3 პროცენტი, მშენებლობაში - 15.8 პროცენტი, ენერგეტიკაში - 10.1 პროცენტი, უძრავ ქონებაში - 8.6 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 4.8 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში - 4.0 პროცენტი, ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.9 პროცენტი.

2018 წლის პირველ კვარტალში OECD-ის ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 50 პროცენტი შეადგინა, 2017 წელს - 59.1 პროცენტი, ხოლო 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანი FDI-ის 46.5 პროცენტი იყო.

აღსანიშნავია FDI-ს დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია კავშირგაბმულობის სექტორში, სადაც განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 3.7 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება 2017 წელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინვესტიციები საფინანსო და სამშენებლო სექტორში. საფინანსო სექტორში ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 16.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები FDI-ის 15.8 პროცენტი იყო. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა 2018 წლის დასაწყისშიც.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში 2017 წლისთვის პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 25.9 პროცენტით, მეორე ადგილზე - თურქეთი 15.0 პროცენტით,

ხოლო მესამე ადგილი გაერთიანებულ სამეფოს უკავია და განორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 13.4 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება 2018 წლის პირველ კვარტალს, პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფოა (29.6%), შემდეგ აზერბაიჯანი (18.3%) და ჩინეთი (14.9%).

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტორების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა.

ფულადი გზავნილები

2017 წელს ჯამურად ფულადი გზავნილები 22.3 პროცენტით მეტი იყო 2016 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

ფულადი გზავნილების ზრდა მნიშვნელოვანია 2018 წლის დასაწყისშიც. იანვრის თვეში ზრდამ 34.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო წლებში დაფიქსირებული მაქსიმუმია, თებერვლის თვეში ზრდამ 20.6 პროცენტი შეადგინა, მარტში - 15.7 პროცენტი, აპრილში - 16.7 პროცენტი, მაისში - 13.9 პროცენტი, ხოლო ივნისში ზრდამ 17.3 პროცენტი შეადგინა.

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ 5 თვეში ფულადი გზავნილები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით. 2016 წლის ივლისში ფულადი გზავნილები გაიზარდა 8 პროცენტით, წლის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა აგვისტოში - 23.0 პროცენტი, ნოემბერში ეს მაჩვენებელი იყო 14.6 პროცენტი, ხოლო დეკემბერში ფულადი გზავნილები 19.7 პროცენტით გაიზარდა. ჯამურად, 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილების წინა წელთან შედარებით 5.3 პროცენტით გაიზარდა.

2017 წლის იანვრიდან გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილების ზრდის ტემპი. იანვარში აღნიშნულმა ზრდამ 29.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთელი წლის განმავლობაში გზავნილები 22.3 პროცენტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.



საერთო ჯამში, 2017 წელს, საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით უცხოური ვალუტის შემოდინება გაიზარდა 1 413 მილიონი აშშ დოლარით. ამავე პერიოდში 684.8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა იმპორტისთვის თანხების გადინება. შედეგად, 2017 წელს მიმდინარე ანგარიშზე დადებითი გავლენა შეინიშნა. 2018 წლის იანვარ-ივნისში კი უცხოური ვალუტის შემოდინება საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით გაზრდილია 722 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო იმპორტისთვის თანხების გადინება გაიზარდა 819 მილიონი აშშ დოლარით. შედეგად, 2018 წლის პირველ 6 თვეში მიმდინარე ანგარიშზე უარყოფითი გავლენა შეინიშნა 97 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც ძირითადად გაზრდილმა იმპორტმა განაპირობა.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რეფორმები დანაზოგების წასახალისებლად, მწარმოებლურობისა და ექსპორტის ზრდისთვის და დანაზოგები-ინვესტიციების „გეპ“-ის თანდათანობით დასახურად, რაც დაბალანსებულ მიმდინარე ანგარიშს გულისხმობს.

პირველი შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია: წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 8.9 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო პერიოდში არსებული ბალანსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა. 2017 წლის მესამე კვარტალში, მიმდინარე

ანგარიშის დეფიციტმა მშპ-სთან მიმართებაში 3.1 პროცენტი შეადგინა, რაც ისტორიულ მინიმუმს წარმოადგენს. კლების ტენდენცია 2017 წელს დაიწყო. 2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 13.2 პროცენტს შეადგენდა, 2017 წლის პირველ კვარტალში 11.4 პროცენტამდე შემცირდა, მეორე კვარტალში - 8.3 პროცენტამდე, მესამე კვარტალში - 3.1 პროცენტამდე, ხოლო მეოთხე კვარტალში დეფიციტმა 13.3 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის პირველ კვარტალს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 11.6 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად სავაჭრო ბალანსის გაუარესებით არის გამოწვეული.





საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor's", „Fitch" და „Moody's". ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს, ამჟამად საქართველოს Standard & Poor's"-თან "BB-" სტაბილური, „Fitch"-თან "BB-" პოზიტიური, ხოლო Moody's"-თან "Ba2" სტაბილური რეიტინგი აქვს. რეგიონის ქვეყნებში შეინიშნებოდა საკრედიტო რეიტინგების გაუარესება, თუმცა 2017 წლის ბოლოდან მეზობელი ქვეყნების საკრედიტო რეიტინგებიც უმჯობესდება.

S&P და Fitch-მა დაადასტურა აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი "BB+" ნეგატიურ დონეზე, რომელიც "BBB-"-დან შეამცირა 2016 წელს, თუმცა 2018 წლის დასაწყისშიორივე კომპანიამ პერსპექტივა ნეგატიურიდან სტაბილურზე გააუმჯობესა. აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი გააუარესა აგრეთვე Moody's-მაც, 2016 წელს შეამცირა Baa3-დან Ba1-მდე, ხოლო გასულ წელს Ba1-დან Ba2-მდე. სარეიტინგო კომპანია Moody's-მ ასევე გააუარესა სომხეთის საკრედიტო რეიტინგიც Ba3 დან B1 მდე. Fitch-ის შეფასებით კი სომხეთის რეიტინგი B+ პოზიტიურია.

S&P-ის და Moody's-ის შეფასებით გაუარესდა რუსეთის საკრედიტო რეიტინგიც. 2014 წლის დეკემბერთან შედარებით, რუსეთის საკრედიტო რეიტინგი Moody's-ის შეფასებით გაუარესდა Baa3 დან Ba1 მდე, ხოლო S&P-ის შეფასებით BBB- დან BB+ მდე. 2018 წლის დასაწყისისთვის S&P-ის და Fitch-ის მიხედვით რუსეთის რეიტინგი კვლავ BBB-სტაბილურზეა.

Moody's-მა 2016 წლის სექტემბერში შეამცირა თურქეთის საკრედიტო რეიტინგი Baa3-დან Ba1-მდე, 2017 წლის მარტში თურქეთის საკრედიტო რეიტინგი სტაბილურიდან ნეგატიურით შეცვალა, ხოლო 2018 წლის მარტში Ba2 მდე გააუარესა რეიტინგი. 2016 წელს S&P-მა რეიტინგი შეამცირა „BB+"- დან „BB"-მდე, 2018 წელს კი „BB-"-მდე, ხოლო Fitch-მა "BBB-" დან "BB+" მდე შეამცირა.

რაც შეეხება საქართველოს, 2017 წლის სექტემბერში სარეიტინგო კომპანია Moody's-მა Ba3 დან Ba2 მდე გააუმჯობესა ქვეყნის რეიტინგი და პერსპექტივა სტაბილურზე შეუნარჩუნა. ხოლო 2018 წლის მარტში კომპანია Fitch-მა BB- სტაბილურიდან BB- პოზიტიურზე გააუმჯობესა რეიტინგის პერსპექტივა.

Fitch-ის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს რეიტინგის შეფასებაში დადებითი წვლილი შემდეგმა ფაქტორებმა შეიტანა: მაღალი ეკონომიკური ზრდა, მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ფისკალური მდგრადობის გამყარება და ლარიზაციის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესი. ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა და აღნიშნულია პროგრამის წარმატებული მიმდინარეობა. სააგენტოდ შეფასებით, მიმდინარე პროგრესი მიზნების შესაბამისია და

მიზნად ისახავს ფისკალური სექტორის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც გააუმჯობესებს სტრუქტურულ ინდიკატორებს და წაახალისებს ინვესტიციებსა და დანაზოგებს.

საქართველოს ეკონომიკის ძირითად სისუსტეებად მიიჩნევა მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი და საგარეო ვალი, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ.

Moody's დადებით ფაქტორებად გამოყოფს შემდეგ გარემოებებს: ძლიერი ინსტიტუტები, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები, სავაჭრო შეთანხმებები, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ მშპ-ს 10%-ზე შენარჩუნებას უწყობს ხელს და საშუალოვადიან პერიოდში გაზრდის ექსპორტს და დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას.

საერთო ჯამში, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესებულია, ხოლო პერსპექტივა სტაბილურ დონეზეა შენარჩუნებული (Fitch-ის შემთხვევაში პერსპექტივა პოზიტიურია), რეგიონში გაუარესებული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად, რაც სწორი პოლიტიკის გატარების (მცურავი სავალუტო კურსი, ინფლაციის თარგეთირება, კონტრ-ციკლური ფისკალური პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის დივერსიფიცირება, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება), შემცირებული რისკებისა და საშუალოვადიანი პერსპექტივების დამსახურებაა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო "Moody's"-ის განცხადება

სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა საქართველოს რეიტინგი გააუმჯობესა Ba3-დან Ba2-მდე, ხოლო პერსპექტივა სტაბილურ დონეზე შეუნარჩუნა.

სააგენტოს განცხადებით, რეიტინგის გაუმჯობესება და პერსპექტივის შენარჩუნება გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკა მდგრადი აღმოჩნდა 2014 წელს რეგიონში დაწყებული ეკონომიკური შოკის მიმართ, რის შედეგადაც გამოჩნდა ქვეყნის ეკონომიკისა და ინსტიტუტების სიძლიერე. მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები კი, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით ხორციელდება, შეამცირებს საქართველოს ძირითად საკრედიტო სისუსტეებს და დროთა განმავლობაში უფრო მეტად გაზრდის საკრედიტო სიძლიერეს. თუმცა, რეიტინგის ზრდას ხელს უშლის საგარეო მოწყვლადობის რისკები.

ადგილობრივ ვალუტაში გამოსახული ფასიანი ქაღალდებისა და დეპოზიტების ჭერი გაიზარდა Baa3-დან Baa1-მდე, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფასიანი ქაღალდების ჭერი - Ba1-დან Baa3-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში გამოსახული დეპოზიტების ჭერი - B1-დან Ba3-მდე. მოკლევადიანი უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფასიანი ქაღალდების ჭერი გაიზარდა "Not Prime"-დან „P-3"-მდე, ხოლო დეპოზიტების ჭერი კვლავ "Not Prime"-ზე შენარჩუნდა.

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები დადებითად აღიქმება სარეიტინგო სააგენტოს მიერ - „ახალი სანდო რეფორმები უფრო მეტად შეუწყობს ხელს საკრედიტო გაძლიერებას“. სავალუტო ფონდთან გაფორმებულმა 3-წლიანმა პროგრამამ გააუმჯობესა რეფორმების საიმედოობა:

პროგრამა ხაზს უსვამს სტრუქტურულ რეფორმებს, რაც გამოიწვევს მაღალ და მეტად ინკლუსიურ ზრდას. ძირითადი აქცენტი გაკეთდება განათლების გაუმჯობესებაზე, საგზაო ინფასტრუქტურის დაფინანსებაზე, მეტად ეფექტიან საჯარო ადმინისტრირებაზე და გაუმჯობესებულ ბიზნეს კლიმატზე, რაც გააძლიერებს კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი სექტორის, როლს.

დოლარიზაცია და საგარეო მოწყვლადობა კვლავ რჩება ეკონომიკის მთავარ სისუსტედ, თუმცა, ლარიზაციის პროცესი Moody's-ის მიერ დადებითად არის შეფასებული. დანაზოგების მასტიმულირებელი რეფორმები წახალისებულია სარეიტინგო სააგენტოს მიერ, ხოლო დანაზოგებისა და ინვესტიციების გეპის შემცირება განიხილება, როგორც რეიტინგის ზრდაზე მოქმედი ფაქტორი.

გაცვლითი კურსი

6 აგვისტოს მდგომარეობით, 2018 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 15.1 პროცენტით არის გამყარებული. გასული წლის 1 იანვართან შედარებით კი - 13.3 პროცენტიანი გამყარება დაფიქსირდა. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, მისი წლიური გამყარების ტემპი 7.6 პროცენტს შეადგენს და 7.8 პროცენტით არის გამყარებული წინა წლის იანვართან შედარებით.

ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საკუთარი საშუალოვადიანი ტრენდიდან 7.1 პროცენტითაა გამყარებული.

	6 აგვისტო, 2018	6 აგვ 2018 - 1 იან 2018	6 აგვ 2018 - 1 იან 2017
ევრო	2.8340	▼ -1.4%	▼ -7.8%
აშშ დოლარი	2.4484	▲ 8.1%	▼ -2.1%
თურქული ლირა	0.4816	▲ 55.8%	▲ 70.1%
რუსული რუბლი	0.0386	▲ 11.4%	▼ -15.8%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	135.97	▲ 15.1%	▲ 13.3%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივნისი, 2018)	124.43	▲ 7.6%	▲ 7.8%

უმუშევრობის დონე

2016 წელს უმუშევრობის დონე 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

2014 წელს მოსახლეობის აღწერის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის რაოდენობა კლების მიმართულებით, გადაანგარიშდა სამუშაო ძალის მაჩვენებლებიც, რამაც ცვლილება გამოიწვია ასევე უმუშევრობის დონეში. გადაანგარიშებით მიღებული უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, თუმცა ტენდენცია მაინც იგივეა და 2017 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო წლების მინიმუმს მიაღწია - 13.9 პროცენტს.



ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2016 წელს ფაქტიური საგადასახადო შემოსავლების მობილიზება 775.2 მლნ ლარით აღემატება 2015 წლის შესაბამის პერიოდს, რაც 9.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლის გეგმიური მაჩვენებელი შესრულდა 100.5 პროცენტით და გადაჭარბებამ 46.1 მლნ ლარი შეადგინა.

2017 წელს ფაქტიური საგადასახადო შემოსავლების მობილიზება 992.9 მლნ ლარით აღემატება 2016 წლის შესაბამის პერიოდს, რაც 11.3 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლის გეგმიური მაჩვენებელი შესრულდა 100.4 პროცენტით და გადაჭარბებამ 38.9 მლნ ლარი შეადგინა.

2018 წლის იანვარ-ივლისში ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 5 929.5 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.3 პროცენტით (353.3 მლნ ლარი) მეტია.

გადასახადების იანვარ-ივლისის საპროგნოზო მაჩვენებელი 5 754.7 მლნ ლარს შეადგენს, 2018 წლის იანვრ-ივლისის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 3.0 პროცენტით მეტია, რაც 174.8 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 911.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 856.0 მლნ ლარი) 103.0%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 479.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (420.0 მლნ ლარი) 114.1%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 545.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 422.0 მლნ ლარი) 105.1%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 772.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (794.0 მლნ ლარი) 97.2%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 44.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33.5 მლნ ლარი) 132.0%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 321.5 მლნ ლარი.

სხვა გადასახადი შეადგენს -144.4 მლნ ლარს.

სახელმწიფო ვალი

- სახელმწიფო ვალმა 2017 წლის ბოლოსთვის შეადგინა მშპ-ს 44.6% (აქედან საგარეო ვალი იყო 35.3%), ხოლო 2016 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი იყო 44.4% (საგარეო ვალი - 35.1%) და 2015 წლის ბოლოსთვის - 41.4% (საგარეო ვალი - 32.5%).
- ვალის ზრდა 2015 და 2016 წლებში ძირითადად გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის ცვლილებით.
- საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ვალი მშპ-სთან მიმართებაში 45 პროცენტის ქვემოთ მოექცევა.
- სახელმწიფო ვალის საბაზრო ღირებულება 2016 წლის დეკემბრისთვის იყო 32% (მოიცავს ისტორიულ ვალს, 2016 წლის ბოლოსთვის მშპ-ს 1%), რადგან ჩვენი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია შეღავათიანი პირობებით.

ამასთანავე, კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად გაიზრდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2018 წლის ივლისში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური ემისიით 155 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.719% შეადგინა.

გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 158 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები:

	6M	1Y	2Y	5Y	10Y	სულ
ემისიის მოცულობა	20	40	40	30	25	**155**
საშუალო შეწონილი განაკვეთი	7.362	7.364	7.465	7.690	9.016	**7.719**
დაფარვის მოცულობა	20	100	0	38	0	**158**
სხვაობა	0	-60	40	-8	25	**-3**

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა:



პორტფელის შემოსავლიანობა მთლიანობაში მნიშვნელოვანად არ შეცვლილა.



პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ჯამური საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) გაიზარდა წინა თვესთან შედარებით.

ფასიანი ქაღალდების დაფარვამდე დარჩენილი საშუალო შეწონილი დრო (წელი)			
	31-05-18	30-06-18	31-07-18
6 თვე	0.24	0.24	0.24
12 თვე	0.40	0.44	0.51
2 წელი	0.90	0.97	0.94
5 წელი	2.79	2.77	2.86
10 წელი	6.82	6.73	7.51
სულ	**2.11**	**2.19**	**2.55**

2018 წლის 31 ივლისისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მეხუთედზე მცირედით მეტი (20.4%) ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება უახლოესი 6 თვის განმავლობაში. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების გადანაწილება დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით შემდეგია:



მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ივნისი 1.97) შედარებით მცირედით გაიზარდა და 1.99 შეადგინა. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 10 წლიანი ობლიგაციების აუქციონზე დაფიქსირებული გაზრდილი მოთხოვნით.



თვის განმავლობაში აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები: *



*- თუ მოცემულ თვეში არ განხორციელებულა კონკრეტული ვადის ემისია, გრაფიკზე გამოსახული იქნება წინა პერიოდის შედეგები.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2017 წლის 13 დეკემბრის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით 7.25 პროცენტამდე გაზრდის შესახებ, რაც აიხსნება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუარესებით და ინფლაციაზე ზეწოლით. კომიტეტის განცხადებით, ნავთობის საერთაშორისო ფასების ზრდასთან ერთად, გაზრდილია ინფლაციური მოლოდინები და ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელზე მეტად გაუმჯობესება ასუსტებს მოთხოვნის მხრიდან ინფლაციის შემცირების შესაძლებლობას, რამაც გამოიწვია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა. არსებული ფაქტორების განეიტრალების შემდეგ, 2018 წლის დასაწყისიდან მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება.

2018 წლის იანვრიდან მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განაკვეთი უცვლელად, 7.25 პროცენტზე დატოვა, რის მთავარ მიზეზად დაასახელა ბოლო პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია და ერთობლივი მოთხოვნის პოტენციურ დონეზე ქვემოთ არსებობა, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.

25 ივლისის მონეტარული კომიტეტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით, 7.0 პროცენტამდე შეამცირეს. შემცირების გადაწყვეტილების ძირითად მიზეზად სახელდება ინფლაციის შემცირება და მისი მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ყოფნა, ასევე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარება, რაც ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მოსალოდნელზე ნელი ტემპით შერბილება კი გამოწვეული იქნება ერთობლივი მოთხოვნის გაუმჯობესებითა და პროგნოზირებულთან შედარებით მისი პოტენციურ დონეზე უფრო სწრაფი დაახლოება, რაც არბილებს ინფლაციის შემცირების წნეხს.



2017 წლის ბიუჯეტის აღწერა

მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა და სტრატეგია მიმართულია ეკონომიკურ ზრდაზე და ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებაზე. ამავე დროს, მთავრობა ახორციელებს ფისკალურ კონსოლიდაციას ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებით და საშუალოვადიან პერიოდში მის დაბალ დონეზე შენარჩუნებით.

როგორც ზრდაზე ორიენტირებული პილიტიკის ნაწილი, განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რაც გულისხმობს საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებას ბიზნეს სექტორის სასარგებლოდ.

მოგების გადასახადის რეფორმის გამო საწყის ეტაპზე შემოსავლების კლების დასაკომპენსირებლად და კაპიტალური დანახარჯების სტიმულირებისთვის საჭირო რესურსების მობილიზების მიზნით, მთავრობამ დაიწყო ღონისძიებების გატარება როგორც შემოსავლების, ასევე - დანახარჯების მიმართულებით.

- შემოსავლების მობილიზების ღონისძიებები: საწვავზე აქციზის ზრდა (270 მლნ ლარი, მშპ-ს 0.7%); თამბაქოზე აქციზის ზრდა (215 მლნ ლარი, მშპ-ს 0.6%), აზარტულ თამაშებზე გადასახადის ზრდა (50 მლნ ლარი, მშპ-ს 0.2%); ავტომობილებზე აქციზის ზრდა (45 მლნ ლარი, მშპ-ს 0.1%).
- დანახარჯების შემცირების ღონისძიებები: ხელფასების შემცირება ცენტრალურ და ადგილობრივ სამთავრობო დონეზე (190 მლნ ლარი, მშპ-ს 0.5%); საქონლისა და მომსახურების შემცირება (50 მლნ ლარი, მშპ-ს 0.2%); საყოველთაო

ჯანდაცვის ეფექტიანობის გაუმჯობესება და მიზნობრივი სოციალური პროგრამები მუნიციპალიტეტებში (90 მლნ ლარი, მშპ-ს 0.3%); აგროსერვისის პროგრამის დასრულება (50 მლნ ლარი, მშპ-ს 0.1%);

2017 წლისთვის, ბიუჯეტის დეფიციტი მოსალოდნელია 4.1%-ის გარშემო. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება კაპიტალური დანახარჯებითა და დაკრედიტებით განხორციელდება და შეადგენს 3 მლრდ ლარდ (8.3%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა

2017 წლის 12 აპრილს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოს დაუმტკიცა პროგრამა 285.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იზიარებს და მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ ახალი პროგრამა არის დაფუძნებული მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმაზე. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქნება ჩვენი ქვეყნის პარტნიორი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები დამტკიცებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, რაც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის დახმარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2017 წლის ბიუჯეტი და მთავრობის საშუალოვადიანი საბიუჯეტო გეგმები წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკის ცვლილებას, რაც მოიცავს:

- ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას;
- ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის შექმნას;
- საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდას;
- ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების გაზრდას.

2017-2020 წლებში ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი იქნება დასრულებული, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ ჩვენი ლოგისტიკური და ტურისტული პოტენციალი. ინფრასტრუქტურის

განვითარება გააუმჯობესებს რეგიონებს შორის კომუნიკაციას, რაც გაზრდის მათ ჩართვას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

2017-2020 წლების განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯები გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის 5.6%-დან 9%-მდე. ამასობაში, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება 26.5%-დან 21.7%-მდე.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა გეგმავს ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამ რეფორმებს მიეკუთვნება:

- საპენსიო რეფორმა;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა;
- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება;
- საჯარო-კერძო თანამშრომლობის (PPP) სისტემის ჩამოყალიბება;
- გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა;
- მიწის რეფორმა;
- სადაზღვევო სისტემის რეფორმა;
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები;
- სხვ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფინანსური სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა საქართველოს ეროვნულ ბანკს.